ისწავლე კითხვა
საფეხური 3

ალადინი

ილუსტრატორი
ლორ ფურნიე

სულაკაურის
გამომცემლობა

ერთმა ბოროტმა ჯადოქარმა ჯადოსნობის წიგნში ამოიკითხა, ჯადოსნური ლამპარი ჩინეთში, ერთ მღვიმეში ინახებაო. იქვე ეწერა, რომ მისი მოპარვა მხოლოდ ალადინს შეეძლო.

ჯადოქარი ალადინის მოსაძებნად ჩინეთში გაემგზავრა.

დიდხანს ეძება და ბიჭს ერთ სოფელში მიაგნო. მასთან პატარა გოგონამ მიიყვანა.

– ობოლი და ღარიბი ალადინი დედასთან ერთად ცხოვრობს, – უამბო გოგონამ.

ჯადოქარი ალადინის დედასთან მივიდა, ფული გაუწოდა და უთხრა:

– მე თქვენი ქმრის ნათესავი ვარ და მინდა დაგეხმაროთ. ალადინს ჩემთან წავიყვან სამუშაოდ.

დედას ძალიან გაუხარდა, ალადინი კი მოიღუშა. მას მუშაობა ჭირივით სძულდა.

ჯადოქარმა ალადინი ერთ გორაზე
მდებარე გამოქვაბულთან მიიყვანა
და ჯადოსნური სიტყვები
წარმოთქვა. გამოჩნდა კარი.



ჯადოქარმა ალადინს უბრძანა:
– ეს კარი გამოქვაბულში შეგიყვანს, საიდანაც ბაღში გახვალ, ბაღიდან კი განძით სავსე მღვიმეში აღმოჩნდები. მაგრამ, იცოდე, არაფერს შეეხო. მხოლოდ ლამპარი აიღე და უკან დაბრუნდი. თან ეს ოქროს ბეჭედი წაიღე, გამოგადგება.

ალადინმა მღვიმეში ლამპარი იპოვა
და აიღო, განძისთვის კი ხელი არ
უხლია.



სამაგიეროდ, ბაღში ოქროს ვაშლები მოეწონა და დაკრიფა. მერე გამოქვაბულის კართან მივიდა და ჯადოქარს სთხოვა, გამომიყვანეო.
– ჯერ ლამპარი მომეცი! – დაუყვირა ჯადოქარმა.
შეშინებულმა ალადინმა უკან დაიხია.
უცებ გამოქვაბულის კარი ზრიალით დაიხურა.

ალადინი ატირდა და სიბნელეში ხელის ცეცებას მოჰყვა. შემთხვევით ხელი ბეჭედზე მოუხვდა და მაშინვე წითელი ჯინი გაჩნდა.

– მე ბეჭდის ჯინი ვარ. რა გნებავს? – ჰკითხა ჯინმა.

– ჩემს სახლში მინდა, – მიუგო ალადინმა.

ამის თქმა იყო და ბიჭი შინ, თავის ლოგინში გაჩნდა. დედამ ლამპარი რომ დაინახა, სიხარულით გაიფიქრა:

„გავწმენდ, გავყიდი და იმ ფულით საჭმელს ვიყიდი“.

მაგრამ ხელი გაუსვა თუ არა, ლამპრიდან ცეცხლისფერი ჯინი ამოვიდა.

– მე ლამპრის ჯინი ვარ. რა გნებავს? – იკითხა ჯინმა.

– საჭმელი გვინდა, – წამოიძახა ალადინმა.

ერთ წამში კერძებითა და ხილით სავსე ვერცხლის ლანგრები გაჩნდა.